Entrepreneurial Motivation of Self-Employed Georgian Craftsmen

Giorgi Skhirtladze

The Master's Thesis is submitted to

Ilia State University

Faculty of Business, Technology and Education

in conformity with the requirements for the academic

degree of Master of Business Administration

Master's Thesis Supervisor

Nikoloz Kavelashvili, Professor, PhD

Ilia State University

Tbilisi, 2026

ანოტაცია

თვითდასაქმება მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს ეკონომიკურ საქმიანობაში, რადგან დასაქმებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ ფორმით ახორციელებს საკუთარ ეკონომიკურ საქმიანობას. მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, საქართველოს ეკონომიკის ამ ნაკლებად შესწავლილ სეგმენტზე ემპირიული კვლევები და სტატისტიკური მონაცემები ძალზე შეზღუდულია. წინამდებარე კვლევა ფოკუსირებულია თვითდასაქმებულთა კონკრეტულ ჯგუფზე, კერძოდ, ხელოსნებზე, რომლებიც საქმიანობენ ხის დამუშავების, კაფელის დაგების, ავეჯის წარმოებისა და სხვა მსგავსი პროფესიების მიმართულებით. კვლევის მიზანია ქართველი თვითდასაქმებული ხელოსნების სამეწარმეო მოტივაციის, სამუშაოსადმი კმაყოფილებისა და აღქმული პროდუქტიულობის შესწავლა, აგრეთვე სამეწარმეო მოტივაციასა და სამუშაოსადმი კმაყოფილებას შორის კავშირის დადგენა. კვლევაში გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი, ერთდროული (cross-sectional) კვლევის დიზაინი. მონაცემები შეგროვდა 30 თვითდასაქმებული ხელოსნის გამოკითხვის გზით, snowball შერჩევის მეთოდის გამოყენებით. სამეწარმეო მოტივაციის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა push-pull ჩარჩო, სამუშაოსადმი კმაყოფილება შეფასდა სამუშაოსადმი კმაყოფილების კითხვარის (Job Satisfaction Survey – JSS) მეშვეობით, ხოლო აღქმული პროდუქტიულობა შეფასდა ინდივიდუალური სამუშაო პროდუქტიულობის კითხვარის (Individual Work Performance Questionnaire – IWPQ) გამოყენებით. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ რესპონდენტებში უფრო მეტად იყო გავრცელებული მოგებითა და შესაძლებლობებით მოტივირებული („pull“) ფაქტორები, ვიდრე იძულებითა და აუცილებლობით განპირობებული („push“) ფაქტორები. JSS-ის შედეგები მიუთითებს, რომ მონაწილეებს, ზოგადად, სამუშაოსადმი კმაყოფილების საშუალო დონე ახასიათებთ. გამოვლინდა დადებითი კავშირი „pull“ მოტივაციასა და სამუშაოსადმი კმაყოფილებას შორის, მაშინ როდესაც „push“ მოტივაციასა და სამუშაოსადმი კმაყოფილებას შორის უარყოფითი კავშირი დაფიქსირდა. აღქმული პროდუქტიულობის შედეგები არაერთგვაროვანი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ შედეგები მიუთითებს, რომ ქართველ თვითდასაქმებულ ხელოსნებს შესაძლოა გარკვეული სირთულეები ჰქონდეთ ყოველდღიური სამუშაო ამოცანების შესრულებისას, ისინი ასევე ავლენენ პროფესიისადმი მაღალ ერთგულებას უწყვეტი სწავლების, ადაპტაციისა და თვითგანვითარების გზით. შესაბამისად, მათი საერთო აღქმული პროდუქტიულობა შეიძლება შეფასდეს, როგორც საშუალო. კვლევა მიუთითებს, რომ ქართველი თვითდასაქმებული ხელოსნები ძირითადად მოგებასა და შესაძლებლობებთან დაკავშირებული ფაქტორებით არიან მოტივირებულნი და რომ ეს მოტივაციები სამუშაოსადმი კმაყოფილების უფრო მაღალ დონეს უკავშირდება. კვლევის

შედეგები ავსებს საქართველოში თვითდასაქმების შესახებ არსებულ შეზღუდულ ლიტერატურას და საფუძველს უქმნის მომავალ კვლევებს სამეწარმეო მოტივაციისა და თვითდასაქმების მიმართულებით.

Abstract

Self-employment plays a vital role in Georgia's economic activity, as a significant portion of the workforce is engaged in this type of employment. Despite its importance, there is little empirical research and statistical data on this understudied segment of the Georgian economy. This study focuses on a specific group of self-employed individuals, namely artisans engaged in activities such as carpentry, tiling, furniture production, and related trades. The aim of this study is to examine entrepreneurial motivation, job satisfaction, and perceived work performance among Georgian self-employed craftsmen and to explore the relationship between entrepreneurial motivation and job satisfaction. A quantitative cross-sectional research design was adopted. Data were collected through a survey of 30 self-employed artisans using the snowball sampling method. Entrepreneurial motivation was measured using a push-pull framework, job satisfaction was assessed using the Job Satisfaction Survey (JSS), and perceived work performance was measured using the Individual Work Performance Questionnaire (IWPQ). The findings indicate that opportunity-driven ("pull") motivations were more prevalent than necessity-driven ("push") motivations among respondents. The JSS results suggest that participants generally experience moderate levels of job satisfaction. A positive relationship was observed between opportunity-driven motivations and job satisfaction, while necessity-driven motivations showed a negative relationship with job satisfaction. The results for perceived work performance were mixed. Although the findings suggest that Georgian self-employed artisans may experience difficulties in performing certain daily work tasks, they also demonstrate strong commitment to their profession through continuous learning, adaptation, and self-improvement. As a result, their overall perceived work performance can be described as moderate. The study suggests that Georgian self-employed artisans are primarily motivated by opportunity-related factors and that these motivations are associated with higher levels of job satisfaction. The findings contribute to the limited literature on self-employment in Georgia and provide a foundation for future research on entrepreneurial motivation and self-employment.